ხელშეკრულება № 84/01/22
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთის მხრივ, ბოლნისის მუნიციპალიტეტი (ს/კ 225393963. მისამართი: ქ. ბოლნისი. სულხან-საბა ორბელიანის ქ. N106) წარმოდგენილი მისი მერის დავით შერაზადიშვილის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად")და მეორეს მხრივ, შპს „ნაით შოუ" (ს/კ 406210540). მისამართი: ქ. თბილისი. ისანი-სამგორის რაიონი, ქეთევან დედოფლის გამზ. N67) მისი დირექტორის ლერი ოყუჯავას სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"),„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: 2022 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებაისათვის **სცენის აპარატურის ქირავნობის** მომსახურეობა. თანდართული ინვოსის შესაბამისად. CPV კოდი: 70130000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **4900 (ოთხიათას ცხრაასი) ლარს;**

2.2. დაფინანსების წყარო - ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

2.3. ფასების ცხრილი -- ინვოისი - დანართი N1

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია: ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება; ბ) მომსახურეობის გაწევის ვადის დასრულებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

3.2 შემსყიდველი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით. ბ) დაიცვას და გაუფრთხილდეს მიმწოდებლის გახმოვანების აპარატურას.

3.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია: ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია: ა) მიაწოდოს ინვოისში მითითებული აპარატურით მომსახურეობა სრული მოცულობით და დათქმულ ვადებში. მოემსახუროს გამართული აპარატურით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2. მიმწოებელთან ანგარიშწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს მიწოდებული მომსახურეობის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

5. ხელშეკრულების ინსპექტირება

5.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

5.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერას განახორციელებს -- კობა ჟღენტი -- ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი.

6.2 მომსახურეობა გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. მომსახურეობის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია კონკრეტული ღონისძიების გამართვის ადგილი- ქ. ბოლნისი, მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე.

7.2. სცენის აპარატურის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ მითითებულ ადგილას არაუგვიანეს 2022 წლის 26 მაისს დილის 10[00] საათისა.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრლებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.5. ხელშეკრულების 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე

მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;
10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 1 აგვისტომდე.

შემსყიდველი: ბოლნისის მუნიციპალიტეტი (ს/კ225393963) ფაქტობრივი/იურიდიული მისამართი: ქ. ბოლნისი. სულხან საბა ორბელიანის ქ. N106.

მიმწოდებელი: შპს „ნაით შოუ“ (ს/კ 406210540) მისამართი: ქ. თბილისი. ისანი-სამგორის რაიონი, ქეთევან დედოფლის გამზ. N67მომსახურე ბანკი: სს "საქართველოს ბანკი" BAGAGE22. GE40BG0000000213344800.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი
მუნიციპალიტეტის მერი
დავით შერაზადიშვილი

შპს „ნაით შოუ“
დირექტორი
ლერი ოყუჯავა

David Sherazadishvili 10001006414
Digitally signed by David Sherazadishvili
Date: 2022.05.23 21:03:16

Leri Okujava 19001013795
Digitally signed by Leri Okujava
Date: 2022.05.23 18:02:13

Night Show

N 89

საქართველო

შ.პ.ს „ნაით შოუ“

საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. N67, ბ.52. ტელ:577907374

GEORGIA

L.L.C „NAIT SHOU“

Georgia, Tbilisi, Isani-Samgori District, ST. Ketevan Dedofali Ave., №67, I
TL:57790

19 მაისი 2022 წელ

ინვოისი

შემსრულებელ	შ.პ.ს „ნაით შოუ“	ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ., №67, ბ. 52	საიდ.კოდი 406210540	სს „საქართველოს ბანკი“, თბილისი, გაგარინის ქ. 29ა კოდი BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE40BG0000000213344800

დამკვეთი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია		საიდ.კოდი 225393963	

N	შესასრულებელი სამუშაო	რაოდენობა (ცალი/მეტრი)	ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით	საერთო ღირებულება დღგ-ს ჩათვლი (ლარი)
1	გახმოვანება 35 კლოვატი. ბექლაინი.4ც მონიტორი, 2ც ბას კომბი, 1ც კოპლექტი დრამი. 2ც ვოკალური მიკოპონი, 5 კონდესატორული მიკროფონი. 4ც მიკროფონი .1ც ლეპტოპი	1	4900	4900
2				
3				
4				
5				
				0
			სულ:	4900
			მათ შორის დღგ	747.46

შ.პ.ს „ნაით შოუ“ -ს დირექტორი:

Leri Okujava 19001013795

Digitally signed by Leri Okujava
Date: 2022.05.23 15:40:56

ჩაიბარა: _____